



წერილის ნომერი: 90-1422090671
თარიღი: 31/03/2022
პინი: 9075

ადრესატი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ ნუკრი დეკანაძეს**

ბატონო ნუკრი,

თქვენი მიმდინარე წლის 28 მარტის N 01-142208721 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ფიზიკური პირის, ნაზიბროლა რეხვიაშვილის განცხადებას (N01-142208721;28.03.2022წ.) გაცნობებით, რომ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიების - „ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება - რეაბილიტაცია“ ფარგლებში:

- მიმდინარეობს ქ. ბათუმში მემედ აბაშიძის N56-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2022 წლის 2 მარტს გაფორმებული N20 ხელშეკრულების (CMR220044289) შესაბამისად ახორციელებს შპს „სამშენებლო-საპროექტო ჯგუფი“. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 272 024,23 ლარს, ხოლო დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 2 ივნისი.

- გამოცხადებულია ტენდერი ქ. ბათუმში, მ.ხინიკაძის N7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ (NAT220005063). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 313 427 ლარს.

- გამოცხადებულია ტენდერი ქ.ბათუმში გენერალ გიორგი კვინიტაძის N1, N3 და N11-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში DesignBuild (პროექტირება-მშენებლობა) მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (NAT220006135). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 536 260.00 ლარს.

- გამოცხადებულია ტენდერი ქ.ბათუმში იოსებ გრიშაშვილის N9-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში DesignBuild (პროექტირება-მშენებლობა) მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (NAT220006133). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 6 990 000.00 ლარს.

- გამოცხადებულია ტენდერი ქ.ბათუმში, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შესყიდვის შესახებ (NAT220005736). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 450 000 ლარს.

აქვე განვიმარტავთ, რომ სხვა საკითხები, რომელიც აღნიშნულია განცხადებაში სცილდება ჩვენს კომპეტენციას.

პატივისცემით,

აკაკი ბერიძე

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

